

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2017 წლის 27 მარტი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №56 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.174.016192) დანართი №1 შეიცვალოს ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ზურაბ როსებაშვილი

დანართი №1

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 859,4	18 265,3	3 180,4	15 084,9	17,342.0	1,540.0	15,802.0
გადასახადები	1 431,7	3 400,0	0,0	3 400,0	4,050.0	0.0	4,050.0
გრანტები	12 961,3	12 491,4	3 180,4	9 311,0	11,025.8	1,540.0	9,485.8
სხვა შემოსავლები	2 466,4	2 373,9	0,0	2 373,9	2,266.2	0.0	2,266.2
ხარჯები	14 058,6	15 132,7	716,5	14 416,2	12,229.6	210.0	12,019.6
შრომის ანაზღაურება	4 420,6	1 874,2	75,0	1 799,2	1,683.5	70.7	1,612.8
საქონელი და მომსახურება	4 745,7	1 639,8	2,0	1 637,8	1,461.1	16.8	1,444.3
ძირითადი კაპიტალის	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0



მომსახურება							
პროცენტი	20,3	1,1	0,0	1,1	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	2 388,2	8 483,9	125,0	8 358,9	7,257.5	112.5	7,145.0
გრანტები	1 354,3	1 061,5	0,0	1 061,5	14.0	0.0	14.0
სოციალური უზრუნველყოფა	511,9	676,1	10,0	666,1	670.7	10.0	660.7
სხვა ხარჯები	617,6	1 396,1	504,5	891,6	1,142.7	0.0	1,142.7
საოპერაციო საღდო	2 800,8	3 132,6	2 463,9	668,7	5,112.4	1,330.0	3,782.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 141,6	4 288,1	2 960,4	1 327,6	6,329.2	1,357.3	4,971.8
ზრდა	4 551,3	5 062,9	2 960,4	2 102,4	6,659.2	1,357.3	5,301.8
კლება	409,7	774,8	0,0	774,8	330.0	0.0	330.0
მთლიანი საღდო	-1 340,8	-1 155,5	-496,6	-658,9	-1,216.7	-27.3	-1,189.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 558,6	-1 269,9	-546,4	-723,6	-1,290.5	-67.9	-1,222.6
კლება	1 558,6	1 269,9	546,4	723,6	1,290.5	67.9	1,222.6
ვალუტა და დეპოზიტები	1 558,6	1 269,9	546,4	723,6	1,290.5	67.9	1,222.6
ვალდებულებების ცვლილება	-217,7	-114,5	-49,8	-64,6	-73.8	-40.6	-33.2
ზრდა							
კლება	217,7	114,5	49,8	64,6	73.8	40.6	33.2
საშინაო	217,7	114,5	49,8	64,6	73.8	40.6	33.2
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17 269,1	19 040,1	3 180,4	15 859,7	17,672.0	1,540.0	16,132.0
შემოსავლები	16 859,4	18 265,3	3 180,4	15 084,9	17,342.0	1,540.0	15,802.0
არაფინანსური აქტივების კლება	409,7	774,8	0,0	774,8	330.0	0.0	330.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)							



ვალდებულებების ზრდა							
გადასახდელები	18 827,7	20 310,0	3 726,7	16 583,3	18,962.5	1,607.9	17,354.6
ხარჯები	14 058,6	15 132,7	716,5	14 416,2	12,229.6	210.0	12,019.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 551,3	5 062,9	2 960,4	2 102,4	6,659.2	1,357.3	5,301.8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)							
ვალდებულებების კლება	217,7	114,5	49,8	64,6	73.8	40.6	33.2
ნაშთის ცვლილება	-1 558,6	-1 269,9	-546,4	-723,6	-1 290,5	-67,9	-1 222,6

მუხლი 3. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 17 342,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 859,4	18 265,3	3 180,4	15 084,9	17,342.0	1,540.0	15,802.0
გადასახადები	1 431,7	3 400,0	0,0	3 400,0	4,050.0	0.0	4,050.0
გრანტები	12 961,3	12 491,4	3 180,4	9 311,0	11,025.8	1,540.0	9,485.8
სხვა შემოსავლები	2 466,4	2 373,9	0,0	2 373,9	2,266.2	0.0	2,266.2

მუხლი 4. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 050,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 431,7	3 400,0	0,0	3 400,0	4,050.0	0.0	4,050.0
საშემოსავლო გადასახადი		2 300,0		2 300,0	2,000.0		2,000.0
ქონების გადასახადი	1 431,7	1 100,0	0,0	1 100,0	2,050.0	0.0	2,050.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	803,5	750,0		750,0	1,300.0		1,300.0



უცხოურ საწარმოთა	0,4	0,0			0,0		
ქონებაზე (გარდა მიწისა)							
ფიზიკურ პირთა	52,9	15,0	0,0	15,0	40,0	0,0	40,0
ქონებაზე (გარდა მიწისა)							
სასოფლო-სამეურნეო	120,9	100,0	0,0	100,0	230,0	0,0	230,0
დანიშნულების მიწაზე							
არასასოფლო-სამეურნეო	453,4	235,0	0,0	235,0	480,0	0,0	480,0
დანიშნულების მიწაზე							
სხვა გადასახადები	0,6	0,0		0,0	0,0		0,0
ქონებაზე							
სხვა გადასახადები	0,0	0,0		0,0	0,0		0,0

მუხლი 5. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 11 025,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გრანტები	12 961,3	12 491,4	11,025.8
გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტებიდან			
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	12 961,3	12 491,4	11,025.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	10 156,7	9 521,0	9,695.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	9 946,7	9 311,0	9,485.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210,0	210,0	210.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 804,6	2 970,4	1,330.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	2 804,6	2 970,4	1,330.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა			
მგფ-ის თანადაფინანსება			
სხვა პროექტები			
წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია			
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან			
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან			



მუხლი 6. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 266,2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 466,4	2 373,9	2 266,2
შემოსავლები საკუთრებიდან	418,2	410,0	340,0
პროცენტები	229,7	95,0	80,0
რენტა	188,5	315,0	260,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	104,9	105,0	80,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან მართვაში (უზუფრუქტი, გირავნობა და სხვა) გადასაცემად	83,6	210,0	180,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 244,6	1 163,9	976,2
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	1 194,8	1 113,9	941,0
სანებართვო მოსაკრებელი	27,3	40,0	40,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,5	1,0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	854,8	832,9	660,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	312,2	240,0	240,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	49,8	50,0	35,2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	49,8	50,0	35,2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	803,5	800,0	950,0

მუხლი 7. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12 229,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	14 058,6	15 132,7	716,5	14 416,2	12,229.6	210.0	12,019.6



შრომის ანაზღაურება	4 420,6	1 874,2	75,0	1 799,2	1,683.5	70.7	1,612.8
საქონელი და მომსახურება	4 745,7	1 639,8	2,0	1 637,8	1,461.1	16.8	1,444.3
პროცენტი	20,3	1,1	0,0	1,1	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	2 388,2	8 483,9	125,0	8 358,9	7,257.5	112.5	7,145.0
გრანტები	1 354,3	1 061,5	0,0	1 061,5	14.0	0.0	14.0
სოციალური უზრუნველყოფა	511,9	676,1	10,0	666,1	670.7	10.0	660.7
სხვა ხარჯები	617,6	1 396,1	504,5	891,6	1,142.7	0.0	1,142.7

მუხლი 8. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 329,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 659,2 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	37,1	89,0	161.1
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 495,2	4 829,8	5,072.3
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	847,9	33,4	579.2
05 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	161,8	110,7	846.6
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	9,3	0,0	0,0
სულ ჯამი		4 551,3	5 062,9	6,659.2

ბ) განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 330,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	409,7	774,8	330,0
ძირითადი აქტივები	8,3	50,0	30,0
არაწარმოებული აქტივები	401,1	724,8	300,0
მიწა	401,1	622,0	300,0



მუხლი 9. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 241,6	2 649,7	2,504.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 221,3	2 648,7	2,504.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 221,3	2 638,5	2,484.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	10,1	20.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება			
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	20,3	1,1	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			
702	თავდაცვა	88,1	101,4	91.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	712,7	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	712,7		
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 400,3	6 895,7	6,393.4
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა			
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	37,2		
70421	სოფლის მეურნეობა	37,2		
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
70443	მშენებლობა			
7045	ტრანსპორტი	1 963,9	3 857,2	3,772.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 963,9	3 857,2	3,772.5
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	16,9		
70473	ტურიზმი	16,9		



7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1 382,3	3 038,4	2,620.9
705	გარემოს დაცვა	1 477,1	546,8	155.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	68,8	129,0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1 408,3	417,8	155.8
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა			
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	983,6	1 045,6	989.9
7061	ბინათმშენებლობა			
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	388,8	353,2	266.0
7063	წყალმომარაგება	96,0	112,9	95.9
7064	გარე განათება	402,0	459,5	470.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	96,8	120,0	158.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	232,7	233,0	209.7
7072	ამბულატორიული მომსახურება	107,9	108,0	97.2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	124,8	125,0	112.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	5 772,1	5 423,3	112.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3 558,0	3 033,9	112.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 184,3	2 359,5	112.5
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29,9	30,0	112.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა		0,0	112.5
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
709	განათლება	3 094,9	2 479,4	3,064.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	3 049,5	2 429,9	3,015.2
7092	ზოგადი განათლება	45,4	40,0	35.6
70923	საშუალო ზოგადი განათლება	45,4	40,0	35.6
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0,0	9,5	14.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			
710	სოციალური დაცვა	606,7	820,6	835.2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	209,2	268,0	268.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	174,0	216,0	216.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35,2	52,0	52.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა			



7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	44,1	44,4	44,4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	54,5	65,2	65,2
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	42,9	63,0	63,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	256,1	380,1	394,6
სულ ჯამი		18 609,9	20 195,6	18,888.7

მუხლი 10. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 216,7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1 290,5 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1 290,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -73,8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 20,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ქალაქ გორის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 210,0 ათასი ლარი მიიმართოს:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 112,5 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 87,5 ათასი ლარი;
 - გ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ და „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 10,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები



1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

განხორციელდება კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლოატაცია და კეთილმოწყობის ღონისძიებები.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზების, ქუჩების, სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების და სტალინის სკვერში კასკადური შადრევნის მოწყობა-რეაბილიტაცია; წმინდა წყლის დასახლებაში არსებული საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი კორპუსების დამისამართება.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმული შეკეთება და რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია და შენობების დამისამართება.

ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების ორმული შეკეთება, „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარე გზის და ქალაქში არსებული სხვა გზების და ქუჩების რეაბილიტაცია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია ქ.გორში რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩების ასფალტირება და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, გიორგი ანწუხელიძის (ყოფილი მოსკოვის) ქუჩის, გურამიშვილის ქუჩის (ჭავჭავაძის გამზირიდან თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე) მონაკვეთის, ამილახვრის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩიდან სამეფოს ქუჩამდე) მონაკვეთის, დავით ჩუბინიშვილისა და გრიგოლ ფერაძის ქუჩების, ი. გოგებაშვილის მე-2 და მე-3 ჩიხის, შინდისის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული №17 საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის, გორგასალისა და ხახუტაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის, ჭავჭავაძის ჩიხის, რუსთაველის ქუჩიდან ხაშურის ქუჩამდე დამაკავშირებელი გზის და 26 მაისის სანაპიროს მიმდებარე საავტომობილო გზების ასფალტირება, დავით ჩუბინიშვილის და გრიგოლ ფერაძის ქუჩების მიმდებარედ საპროექტო ქუჩების მოწყობა და 26 მაისის სანაპიროს საფეხმავლო სივრცის მოწყობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება ლუნაჩარსკის ქუჩის რეაბილიტაცია, ვოლოგდის დასახლებაში მოსაცდელის გადატანა ქალაქის მიმართულებით, გზის გაფართოება და მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებთან შესასვლელების რეაბილიტაცია, წმინდაწყლის

დასახლებაში კორპუსებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და დევნილთა დასახლებაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 280მ.

ასევე წმინდაწყლის დასახლებაში არსებული საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების დამისამართება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალური განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება.

ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების (ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება) ხელშეწყობა.

ასევე გათვალისწინებულია ქ. გორში, კეცხოველის ქუჩაზე და ქარხნის ქუჩის ჩიხში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სასმელი წყლის სოკოებზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურებას და განხორციელებს დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება.

ბ.დ) ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნესსექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

ბ.ე) ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

ბ.ვ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა



გაერთიანების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობას, ექსპლუატაციას და განვითარებას.

პროექტის წარმომდგენმა ამხანაგობამ უნდა მოახდინოს თანადაფინანსება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის განხორციელება პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით; ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოასფალტებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებისას განისაზღვროს პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 20%-ით.

ბ.ზ) ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის სამუშაოების დაფინანსება.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა. სკვერებისა და გაზონების მოწყობა და რეაბილიტაცია. ასევე ქალაქის ინფრასტრუქტურის მოვლა-ექსპლოატაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნებით სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია და სტალინის სკვერში არსებული კასკადური შადრევნის რეაბილიტაცია.

გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება ქალაქის გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

გ.ბ) შადრევნის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება სტალინის სკვერში არსებული კასკადური შადრევნის რეაბილიტაცია.

გ.გ) სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 03)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იგეგმება ამილახვრის ქუჩაზე, ვერხვების დასახლებაში (სამხედროების ბინის წინ), კვერნაქის დასახლებაში (რძის ქარხნის მიმდებარედ), ქარხნის ქუჩაზე, ჭალის დასახლებაში, ანწუხელიძის (ყოფილი მოსკოვის) ქუჩაზე, შინდისის გზატკეცილზე ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნებით სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ასევე გათვალისწინებულია „ლომჭაბუკის“ და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია.

გ.დ) ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეძენა (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეძენა.



გ.ე) მუნიციპალიტეტის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

ასევე ქალაქ გორში, წერეთლის ჩიხი №2-ში მდებარე მოქალაქე ეთერ სენინას საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) და შინდისის გზ.№22-ში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციის დასრულება.

გ.ვ) სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მინი-მოედნების რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

გ.ზ) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 07)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გ.თ) ა(ა)იპ – სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

გ.ი) ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის გორის სანერგე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გამწვანებისათვის და ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის საჭირო ნერგების გამოყვანა, დაკალმვა, ნიადაგის მოვლა და დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები.

გ.კ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარიული დამუშავება (პერიოდულად); ქალაქის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათების სისტემის და შენობა-ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია; ქალაქის სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები; ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე; შადრევნების მოვლა-ექსპლოატაცია ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელის მოვლა-პატრონობა; სკვერების და გაზონების მოვლა, მწვანე ნარგავების შეძენა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა,



მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 3400 ბავშვი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსება გათვალისწინებულია თითოეულ ბავშვზე იანვრის, თებერვლის, მარტის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში - 65 ლარის, ხოლო დანარჩენ თვეებში - 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.

სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებულია №1, №2, №7 და №18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ალტერნატიული ფართის საიჯარო ქირის გადასახადის დაფინანსება.

ასევე გათვალისწინებულია საბავშვო ბაგა-ბაღების ინვენტარით უზრუნველყოფა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ბ) განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელების, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევისა და მათი დაგეგმვა-პრეზენტაციის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია. აგრეთვე, ტერიტორიაზე არსებული სკოლების დამამთავრებელი კლასების წარჩინებული მოსწავლეების ფინანსური წახალისება (ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით).

გ) სასკოლო მზაობის ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სკოლამდელი განათლების ახალი (ალტერნატიული) მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ გორის საჯარო სკოლების ბაზაზე სასკოლო მზაობის ცენტრების მოქმედებას, ბაღიდან სკოლაში ტრანზაქციის პერიოდის გაადვილების მიზნით სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვების უნარ-ჩვევების განვითარებას ყველა სფეროს მიმართულებით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვა და სხვა სპორტული სახეობების განვითარების ხელშეწყობა და სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.



ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა სპორტსმენებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიდაობის, კრივის და ფეხბურთის და სპორტის სხვა სახეობის წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.

გარდა ამისა, იგეგმება რაგბის და ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ – „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლის“, ა(ა)იპ – „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის“ და ა(ა)იპ – „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. რათა მოსწავლეებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვა და სხვა კალენდარულ ტურნირებში და მიაღწიონ მაღალ შედეგებს.

ა.გ) საჭიდაო დარბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე ქალაქში ჭალა-წყაროსუბნის დასახლების ტერიტორიაზე აშენდა საჭიდაო დარბაზი, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ტრადიციების შენარჩუნებას, არამედ გაზრდის ამ სახეობის სპორტსმენთა რაოდენობას და სპორტულ შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მისი ფუნქციონირებისათვის ფინანსური ხელშეწყობა.

ა.დ) ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირების ხელშეწყობის სუბსიდირება.

ა.ე) ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ცენტრის სუბსიდირება სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისა და სპორტული შეკრებების ორგანიზებისათვის.

ა.ვ) თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ გორში არსებული თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ა(ა)იპ – ვანო მურადელის სახელობის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის და ა(ა)იპ – ვანო მურადელის სახელობის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის, მუსიკალური კოლექტივების, მწერალთა და საგანმომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.



ბ.ა) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ა(ა)იპ – ვანო მურადელის სახელობის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის და ა(ა)იპ – ანა ფერადის სახელობის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესაბამისი განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

დაგეგმილია სამხატვრო სკოლასთან არსებული ტიხრული მინანქრის საამქროს ფუნქციონირების ხელშეწყობა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში გათვალისწინებულია სამხატვრო სკოლის ექსტერიერის რეაბილიტაცია.

ბ.ბ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ინტელექტუალური დონის ამაღლების, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და არსებული წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

ბ.გ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალგაზრდებისათვის იმ ცოდნისა და ქცევის ნორმების შეძენას რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს მოზარდთა ინტერესების შესაბამისად სამეცნიერო-შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური მიმართულებებით მოქნილი პროგრამების შემუშავება-განხორციელებას და აქტიური ინტელექტუალური ახალგაზრდების გამოვლენას. ასევე პროგრამა ხელს უწყობს მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში გასართობი სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებას.

ბ.დ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა-შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას.

ასევე იგეგმება „ერეკლეს აბანოს“ რეაბილიტაცია.

ბ.ე) ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მწერალთა სახლის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი სადამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით.

ბ.ვ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში.



ბ.ზ) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

ბ.თ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას საქართველოში ან/და სხვა სახელმწიფოში არსებული: არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და ფესტივალების თანადაფინანსების განსახორციელებლად, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

ბ.ი) მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ა(ა)იპ – ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „გორის“ ფინანსური მხარდაჭერა.

ბ.კ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბაღის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სუბსიდია ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბაღის“ ადმინისტრაციული ხარჯებისათვის, რომელიც ახორციელებს დამსვენებლების მომსახურებას სხვადასხვა გასართობი საშუალებებით.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცი და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

გ.ა) ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის ტურისტული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ტურიზმსა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება. ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და მრავალფეროვანი ტურისტული პროგრამების შექმნა და შეთავაზება.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საპატრიარქოს სარგებლობაში არსებული შენობის რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათ მიერ მოხუცთა თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის



მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

-არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

-დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

-მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

-ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოზხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

-მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

ბ) ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მიუსაფარი ცხოველების იზოლირება და სატრანსპორტო საშუალებების მიერ დაღუპული ცხოველის გვამების სპეციალურ ადგილებზე გატანა და დამარხვა.

გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გ.ა) მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (უსინათლო) დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 240 (ორას ორმოცი) ლარის ოდენობით კომუნალურ გადასახადებზე.

გ.ბ) ასი და მეტი წლის უზუცესთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ



საზღვრებში რეგისტრირებული 100 (ასი) და მეტი წლის ასაკის უზუცესების ერთჯერადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

გ.გ) დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი 0–დან 18 წლამდე პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარისა. დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება ერთჯერადად ყოველ ბავშვზე 800 (რვაასი) ლარის ოდენობით. მშობლის (მშობლების) უფლებამწმდელად (0–დან 18 წლამდე) შვილებს ფულადი დახმარება გაეწევა ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

